№ 174, კვირა, 20 აპრილი. 1896—1897 კვირა, 20 აპრილი, № 174.

ეროვნული ბიბლიოთეკა
182

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერაგ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

შემდეგი ნომერი „ცნობის ფურცლისა“ გამოვა, კვირაცხოვლობის დღესასწაულის გამო, სამშაბათს, 22 აპრილს.

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია მარტში (შეღავათიანის ვადით ხელის-მომწერთ)

პირველ აპრილიდან გაზეთი არ გაეგზავნება.

დღეიდან გაზეთი წლის დამლევამდე «საქართველოს კალენდრით»

ღირს ხუთი |5| მანათი.

სიამოვნებით ვაუწყებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამ გაზაფხულიდან გაიხსნა მიხეილის ქუჩაზე (მუშტაიდის ცოტა ქვემოდ)

საზაფხულო ბაღი სასეირნოდ

ვაზა |„BAZA“|

!!ხორაგი სუფთა და იაფი, მოსამსახურე ზრდილობიანი და სწრაფი!!
საჭმელ-სასმელი ადგილობრივი და ევროპიული
მშვენივრად მორთული ოთახები (კაბინეტები) ცალკე და მყუდრო.
მსურველნი მიბრძანდნენ და თვით დარწმუნდნენ
პატივისცემით კოწია ბაქრაძე
(2—1)

მაქვს პატივი ვაუწყო ქართველ საზოგადოებას, რომ ვისაც ჰსურს შეისწავლოს აბრეშუმეულობისა, შალეულობისა, ნოხ-ხალიჩებისა და სხვა-და სხვა გვარ მატერიების

ქსოვა ხელოვნურად, ფაბრიკულად,

(მატერიები კეთდება ჩვენებურ აქვე მოწეულ დამზადებულ ძაფებისაგან) მიჰმართონ ახალს

ამხანაგობას მეაბრეშუმეობისა და მეფეიქრობისას

ქ. ქუთაისში.

ამხანაგობის სახელოსნოში იმყოფება კარგი ოსტატი—ფეიქარი მოსკოვიდან, მასეიდ შუსტინ, რომელმაც მოაწყო აბრეშუმეულის ქსოვის საქმე ბათომის სახელოსნო სასწავლებელში.

გამგე ამხანაგობისა არტემ ვახტანგის ძე ანჯაფარიძე.
(10—1)

კბილის ექიმი
ვ. ი. პიპინაძე
ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, 21
„ივერიის“ რედაქციის ქვეშ.
ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ მსურველთ ყოველ-დღე შეუძლიანთ მიიღონ გამგეობის კანცელარიიდამ აღმომრჩეველთა სიები, გასწორებული თანახმად ტფილისის საგუბერნიო საბჭოს გარდაწყვეტილებისა, რომელიც მოხდა ამ წლის 8 აპრილს. ეს სიები უკანასკნელად შემოწმებულია და დამტკიცებულია ქალაქის საბჭოში ხმოსნების ამოსარჩევად დამდევის ოთხის წლისათვის (1897—1901 წ.)
(3—3)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პრიტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პრიტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 6 $^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ზ. თოფურიასი
ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. .ზ თოფურია.

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ფ. ქ. გერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

ამკურნალოს დირექტორი ს.ზ. თოფურია.
(წ.)

დეპეშა

„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან. გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

17 აპრილი.

პეტერბურგი. დღეს ცარსკოე სელოში წაბრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული და დიდი მთავრინა ოლგა ნიკოლოზის ასული.

ათინა. თითქმის ოფიციალურად არის აღიარებული მინისტრთა ქვემორე ნუსხა: რალი—მინისტრ-პრეზიდენტი და ზღვათა მინისტრი, ზამადოხი—სამხედრო მინისტრი, სიმიპულოსი—ფინანსთა მინისტრი, კარაპინოსი—საერო განათლების მინისტრი, ტეოტაკი—შინაგან საქმეთა მინისტრი.

ათინა. პალატაში 40 დეპუტატი გამოცხადდა, რის გამოც კრება არ შესდგა. ქუჩებში მრავალი მანიფესტანტები დადიან და ალტაცებით გაიძახიან: „გაუმარჯოს ადმირალ კანარისს!“-ო არც პალატაში და არც პალატის გარეშე არავითარი საყურადღებო ინციდენტი არა მომხდარა. რალის იმედი ჰქონდა, საღამოს რვა საათზედ მეფისათვის მინისტრთა დამთავრებული ნუსხა წარედგინა.

ათინა. ოსმალეთის ლაშქარმა გუშინ იერიში მიიტანა ბერძნების ბანაკზედ ფარსალოსთან.

ახალი ამბავი

⁂ **სახალხო წიგნების გამოცემა.** ბევრს ლაპარაკობენ გაზეთებშიაც, ისე კერძო კრებებზედაც, თუ რა უპირველესს მოთხოვნილებას შეადგენს ზრუნვა ხალხის განათლებაზედ: უნდა მივცეთ ჩვენს ხალხს სულიერი საზრდო, შევიტანოთ თუ ლამპარი არა, ჰრაქი მაინც მისს წყვდიადით მოცულს ცხოვრებაშიო.

გარნა ეს ლაპარაკი ლაპარაკად რჩება და ჩვენში ჯერ ძალიან ცოტა გაკეთებულა ხალხისათვის.

ჩვენებურნი წიგნის გამომცემელნი უფრო ზრუნავენ ინტელიგენციისთვის, ცოტად თუ ბევრად ნასწავლ ყმაწვილებისთვის, რომელთაც შეძლება აქვთ რუსულის ლიტერატურითაც დაიკმაყოფილონ სულიერი წყურვილი და ისინი-კი, ვინც მოკლებულნი არიან ამ სახსარს, ვინც დანდობილნი არიან მხოლოდ თავისს საზოგადო ენას, ესე იგი ჩვენის ხალხის უმრავლესობა, მოკლებულნი არიან განათლებულს ზრუნვას ჩვენის გამომცემლებისას.

თითქმის ერთად ერთია, ყველა გამომცემლებისაგან განმარტოვებით სდგას და შესანიშნავის ენერგიით და თანდათანობით მისდევს გადაუხვევლად ჭეშმარიტს გზას ხალხის სამსახურისას,—ეს არის ჩვენი სახელოვანი პედაგოგი იაკობ ს. გოგებაშვილი. ამისი წიგნები: „იავნანამ რა ჰქმნა“?, „ხატის მიზეზი“, „ასპინძის ომი“, „თავდადებულნი ქართველნი“, როგორც შინაარსით, ისე ფასით დანიშნულნი არიან ჩვენის უმცროსის ძმისთვის, ჩვენის ხალხისათვის.

სხვები-კი სახალხო წიგნების სახელით ჰბეჭდავენ: „შრომასა და კაპიტალს“, „სწავლა-განათლება და მისი ისტორია“, „უმთავრესნი საფუძველნი სალიტერატურო კრიტიკისა“, „ისტორია ცივილიზაციისა ინგლისში“ და სხვა ამისთანებს.

ამ სხვებს ვერ შეუგნიათ კარგად თავიანთი მოწოდება, ვერ მიუგნიათ იმ საიდუმლოებისთვის, თუ რა საგანზედ სწერონ და რა რიგ სწერონ, რომ ხალხისთვის გასაგებარნი და გამოსადეგნი იყვნენ.

ამ გაუგებრობისთვის ისჯებიან კიდეც ნივთიერად. რითი აიხსნება ის გარემოება, რომ ი. გოგებაშვილის სახალხო წიგნები მეორე და მესამე გამოცემას ეღირსებიან ხოლმე და თითო ჯერზედ ორი და სამი ათასობით იბეჭდებიან, და სხვებისაკი, კრებულისა, საზოგადოებისა, ათას-ორასი დაიბეჭდება და ისიც დალპება წიგნის მაღაზიაში და გზას ვერ გაიკვლევენ. რითი და იმითი, რომ იქ ვხედავთ ჭეშმარიტს სახალხო წიგნს, დაკმაყოფილებას ჭეშმარიტის მოთხოვნილებისას,—იქ კი უკან დევნას მაღალის სახელებისას და შეუგნებლობას ხალხის წადილისას. იქ მეფე ერეკლე, ინგილოს გოგო, პაწია ქართველი,—აქ ბოკლი, სპენსერი, პესტალოცი და სხვ. აბა კიდეც ეს ბოკლები არიან მიზეზნი, რომ ჩვენნი გამომცემელნი, კერძო პირნი თუ საზოგადოებანი, მალე აალაგებენ ხოლმე დახლს. ჩივიან, რომ ქართული წიგნების გამოცემაში ზარალის მეტს ვერას ვხედავთო.

არ გაგვიგონია ასეთი სამდურავი პატივცემულის იაკ. გოგებაშვილისაგან, თუმცა ვერც ერთის გამომცემლის წიგნი მისს წიგნებს სიიაფეში წინ ვერ გადურბენს.

რასაკვირველია, ჩვენს ინტელიგენციაზედაც ზრუნვა საჭიროა, ხოლო ნუ დავივიწყებთ, რომ მას ემსახურებიან ჩვენი ჟურნალ-გაზეთები და მთლად რუსული ლიტერატურა. ჩვენი ხალხი-კი სრულებით მოკლებულია საშუალებას სწავლისა და ცოდნისას.

ვერ მოიკიდა ფეხი, სულ ნახტომი ეშლება, ამ სარბიელზედ აგრეთვე დიდად პატივცემულმა. ივანე პავლეს ძე როსტომაშვილმა. თავის დევიზად გამომცემლობაში მან აღიარა ხალხის სამსახური: „ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“-ო და ხალხის სამსახურის ნაცვლად ინტელიგენციას დაუწყო მსახურობა.

უმრავლესობა მისთა გამოცემათა არ ჩაითვლება სახალხო წიგნებად და აი მიზეზი, რომ მან ვეღარ შესძლო ამ ტვირთის ზიდვა და მოიწვია დამხმარედ „ახალი მკითხველი“.

პირველმავე გამოცემამ „ახალის მკითხველისამ“ დაგვარწმუნა, რომ იგიც ვერ ადგა ჭეშმარიტს გზას ხალხის სამსახურისას. მაშასადამე მისი სიცოცხლეც უნდა ხანმოკლე ყოფილიყო. იქნება დიდხანსაც იცოცხლოს „ახალმა მკითხველმა“, ჩვენ ამისი მონატრულნი ვიქნებით, ხოლო ერთი უმთავრესი მომქმედი ამ საზოგადოებისა

ბ. ივ. როსტომაშვილი, ვფიქრობთ, იმ აზრს დასდგომია, რომ აქედამაც არა გამოვა რაო და დღეს გაზეთ ,,ივერიის'' ფურცლებზედ სულ სხვა აზრს აცხადებს; აზრს, რომელსაც ,,ახალ მკითხველთან'' საერთო არა აქვს-რა.

რა ფასისაა ეს ახალი აზრი პატივცემულის მოღვაწისა და გამოვა რამე აქედამაც თუ არა,—ამაზედ შემდეგ მოგახსენებთ.

⁂ **დენერალ-ადიუტანტის თავ. დ. ი. სვიატოპოლკ-მირსკის გამგზავრება ტფილისიდამ.** თავ. დ. ი. სკიატოპოლკ-მირსკი აპირებს გამგზავრებას სამხღვარ-გარეთ და რუსეთის სხვა და სხვა გუბერნიებში საქმიოდ.

⁂ **ტფილისის ოლქის სასამართლოს დროებითი განყოფილება.** გუშინ, 19 აპრილს, გაემგზავრა კახეთისაკენ—თელავსა, ზაქათალასა და სიღნაღში, სისხლის სამართლის საქმეების განსახილველად.

განყოფილებაში სასამართლოს წევრის ი. ო. პარჩევსკის თავმჯდომარეობით მონაწილეობას მიიღებენ წევრნი ე. ვ. ჩემესოვი, ბრალ-მდებელის ამხანაგი დ. ე. ჩერნიკი და მდივანი ე. ი. ოვსიანნიკოვი, რომელნიც 12 მაისამდე კახეთში დარჩებიან და განიხილვენ 40 საქმეს.

⁂ **ქუთაისის გუბერნიაში წყალდიდობის გამო.** როგორც ჩვენს მკითხველებსაც მოეხსენებათ, ქუთაისის გუბერნიის თითქმის ყველა დაბა-ქალაქებს დიდი ზარალი მოუტანა 1895 წლის დამლევს წყალ-დიდობამ; სასოფლო გზები სრულებით წალეკა, დაუვარგისად გახადა და სხვა ფრივადაც დაზარალებულ სოფლელებს კიდევ უფრო გაუჭირა საქმე.

როგორც შევიტყეთ, ადგილობრივი ადმინისტრაცია შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რომ ქუთაისის გუბერნიაში გზების შესაკეთებლად გადიდვას 200,000 მანათამდე ფული, იმ პირობით, რომ ამ ფულით დაქირავებულ იქმნენ მუშებად ისევ ადგილობრივი სოფლელნი. რა თქმა უნდა, ეს შუამდგომლობა ფრიად პატივ-სადებია და სასარგებლო: ერთის მხრით—გზები შეკეთდება და ხალხის ეკონომიურს წარმატებას ხელს შეუწყობს და მეორეს მხრით—დახარჯულის ფულით თვით მკვიდრნი ისარგებლებენ და მათთვის ხომ ეს ამ გაჭირვებაში დიდი შეღავათი იქნება.

⁂ **ბათომი. მუშა ხალხის საჭირობა.** წავიკითხეთ „ცნობის ფურცლის“ 129 №-ში „მუშების დროს გატარება ბათომში“. დიახ, კარგათ ატარებს დროს აქაური მუშა! დროს ატარებს-კი არა, ყველა კატორღას ეკუთვნის. ყველა ჩამოტყუილებული მუშა ქარხნებისაგან დაკარგულია; ჩვენთვის არ არის არც სამკითხველო, არც წიგნთ-საცავი. ჩვენთვის თავს არავინ იწუხებს. ჩვენი ქარხნის პატრონები ხომ არას დასდევენ, მაგრამ ეს ქართველი ნოქრები რომ გვყავს თავმდგურად, იმათ რაღა დაემართათ! ჩვენთან ბაასს ისინი არ კადრულობენ, რომ გამოგვაღებინონ ყველას თითო-ოროლა მანათი მუშის თავზე და ერთი სამკითხველო დავიარსოთ, რომლის წყალობითაც შეიძლება ყველაფერს უბედურებას ავცდეთ და გავიგოთ რამე ქვეყნის ავკარგიანობისა. ქარხნის მუშას მხოლოდ ორსა აქვს „ცნობის ფურცელი“ გამოწერილი და სიამოვნებითაც კითხულობენ, ანუ ვკითხულობთ. «ცნობის ფურცლის» 129 №-ში სწერია „ძმობა არა აქვთო“. არც ისე გონებით დაცემულნი ვართ, ბატონო, მაგრამ რა ვქნათ, რა ვიღონოთ, როცა არავინ გვყავს მრჩეველი! მუშაობა არა გვაქვს; ორ თვეს რომ ვიმუშავებთ, ორ თვეს გაჩერებულნი ვართ; იმ ორი თვის ნამუშავარი ფული ორ კვირაზე არ გვყოფნის და ისევ ვალში ვვარდებით. 1888—89 წლებში რომ მუშაობა იყო იმისთანა რომ ეხლა გახლდეთ, მაშინ ასე ადვილად თავს ვერ გავიმართლებდით. მაგრამ იმ სანატრელ დროს ჩვენი სანატრელი მდგომარეობაც თან გაჰყვა. როდესაც მუშაობა ჩერდება, არ გვეუბნებიან, ორ თვეს არ იქნება მუშაობა, წადით, უშველეთ თავსაო. ამის ნაცვლად, როცა ვკითხავთ,—ბატონო, როდის იქნება მუშაობაო, გვიპასუხებენ: რვა დღეს გაჩერდება, ამა და ამ დროს მოდითო. ჩვენც მივდივართ იმ დროზე, მაგრამ კიდევ რვა დღის შემდეგ მოდითო, გვეუბნებიან. მეორეთაც, მესამეთაც ასეა და ჩვენ-კი სული გვხდება, დავქლექდით, დავვალიანდით. ზოგი ქურდობას მიჰყოფს ხელს, ზოგი ლოთობას და ამნაირად სამუდამოდ ბოლო გვეღება. სად უნდა წავიდეთ, ვისთან უნდა ვიმუშაოთ, როცა ყველას თავისი მუშა ჰყავს! უნდა მივაჩერდეთ ისევ ჩვენს ქარხანას, ხოლო ქარხნის პატრონი-კი, რომლის ყმათაც შვიდი-რვა წელიწადია ვართ, ვისთვისაც ვშრომობთ, სისხლი გაგვშრობია მუშაობით,—არ კითხულობს, რა გვიჭირს დ͠ რა გვილხინს

ყველა ამას ზედ უნდა დავურთოთ სიძვირე ოთახებისა და სხვათა. ერთი ოთახი ექვსი-რვა მანათია. რა უნდა ჰქნას ცოლ-შვილიანმა კაცმა, რით გადიხადოს ეს ფული? გირვანქა ნახშირი ორი კაპეიკია, გირვანქა ოხრახუში, ქუთაისიდან ჩამოტანილი, ორი შაურია, ნავთს ბოჩკებით ჰყიდიან, ფუთი დღეს ღირს სამ აბაზად, ხვალ ათ შაურად, ზეგ შვიდ შაურად მაზეგ ოთხ აბაზად და სხვა. თუ იტყვიან ჩვენი ალები, რომ ფულს ვაძლევთ, ტყუილად ხომ არ ვამუშავებთო, ვაი ამისთანა ფულსაც! დროზე გამოგვიცხადონ მაინც, რამდენ ხანს შეაჩერებს ქარხანა მუშაობას და ჩვენ ვეცდებით სამუშაო ვიშოვნოთ სადმე. აქვე ერთს უტყუარს მაგალითსაც მოგახსენებთ: წოვიანოვის ქარხნის მუშებს, როდესაც ჩერდება ქარხანა, უცხადებენ, რომ ორ კვირას, ან ერთ თვეს მუშაობა არ იქნებაო. თითონ ხოჯამიროვი ჩამოჰყვება და განუცხადებს მუშებს:—წადით, ვისაც სახლი გაქვთ სოფელში და ამ დროს ჩამოდითო. ვინც ბათომშია მუდამ, ის ცდილობს, რომ იმ ერთს თვეს სადმე იმუშავოს და თუ ვერსად, იმუშავა და სახარჯო შემოლეია, ხუთიდან ხუთმეტ მანათამდე აძლევს კანტორა სახარჯოს და მერე ურიცხვენ წვრილ-წვრილად. თუ ვინიცობაა მუშას სახლში ან აქ რამე გაუჭირდა, ერთი თუმნიდან სამ თუმნამდე გაიტანს კანტორიდან წინ-და წინ. მუშას თუ მანქანაზე ხელი გაუფუჭდა, არჩენენ და განამცდარს აძლევენ, თუ კაცი ავად გახდა, საავადმყოფოში მიჰყავთ და არჩენენ. ამნაირად, როგორც წოვიანოვი ირჯება, ისე ვერ იქცევიან სხვა მექარხნეები.

მაშ რა უშავს, რომ წოვია
ვის მუშამ ჟურნალ-გაზეთი გამო
როს და გონების საზრდოც იგე

ეხლა დიდის გულის-ძგერით მ
ლით თავადს ჭავჭავაძეს, რომე
როტშილდის დირექტორად იქმ
ყველა გახარებული ვართ, რ
დავინახავთ, რომ იქნება ჩვენც
შველოს რამ.

გარდა ამასა, ჩვენი საჭმელ-ს
ლი ხომ არასა ჰგავს. მოხარშ
რაღაცნაირ ლობიოს, ქილა
დასდებენ და იძახიან, «ჩემი ლო
ყველას ჯობიაო!“ უნდა ვჭამოთ,
ტი რა ღონეა. დავლევთ წყ
წყალს, გავხდებით ავად და რაც
კვირაში ვიმუშავეთ, აფთიაქში უ
დავხარჯოთ წამლებზედ. სულ
იყო წინად, როდესაც ბურგარ
ამუშავებდა ქარხანას! ის დალოც
ლი, სწორედ იმ დროს მობრძან
ბოდა ჩვენთან, როდესაც სადილ
ვისხედით, წაგვართმევდა კოვზს
თვითონ გასინჯავდა—კარგია თუ
ბორშჩიო, პურს ხელს დააჭერდა
უცბად გაუშვებდა ხელს, ცომი
იყოსო. თავისს თავს აღარ უჯერ
და და გვეკითხებოდა,—გემო
თუ არა მაგ საჭმელსაო.

სასურველია, როდესაც კარგი
შაობა დაიწყება, მოჰკრიბონ თით
ეულს ჩვენგანზე თითო მანათი
ლა ქარხნებში, მიუმატონ იმ ორ
ათ მანათს და ამით კარგი სამკით
ლო გაიმართება მუშებისათვის. ჩ
კი, ყველა ქართველი მუშები,
ლითა და გულით შეკავშირებუ
ვართ ერთმანერთთან და, იმედ
ყურადღებას მოგვაქცევენ, რომ
კავშირი უფრო განამტკიცოს სულ
ერ საზრდოს მოწოდებამ.

ბათომის ქარხნის ქართველი მუშებ

ალექსანდრე ეპისკოპოზის იუბილეის შესახებ.

დიდად პატივცემულის, ჩვენის უხუცესის მღვდელ-მთავრის 35 წლის იუბლეი ეპისკოპოზის თანამდებობაზე ქართველმა საზოგადოებამ უთუოდ შესანიშნავი რითიმე უნდა აღნიშნოს თუ უნდა თავისი საყვარელი მღვდელმთავრის ღვაწლისა და მოქმედების ღირსეულათ დაფასება

ქართული საეკლესიო ლიტერატურა მდიდარია სხვა-და-სხვა ღვთის მეტყველური თხზულებებით; ამ თხზულებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ; მათში გამოიხატება ჩვენთა წინაპართ ხასიათი, ჩვენი ერისა და ეკკლესიის მოქმედებანი; აღნიშნულია, თუ რა მნიშვნელობა ჰქონია საქართველოს ეკკლესიას და ქართველებს მთელ საქრისტიანოში, რა ადგილი სჭერიათ ქართველებს სხვა ერთა წინმსვლელობაში.

თვითონ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ, რომელიც მოყვარული ძველი და ახალი ქართული ლიტერატურისა, გამოსცა თავისი საფარით რავდენიმე შესანიშნავი თხზულება ქართული საეკლესიო ლიტერატურიდგან, მაგალითებრ: „მზამეტყველება“ ანტონ კათოლიკოსისა, „ქართული ლექსიკონი“ საბა-სულხან ორბელიანისა და მრავალი კიდევ სხვა. ქართულ საეკლესიო თხზულებათა გამოცემა ერთი იმ სამ კეთილ და სიმპატიურ საქმეთაგანია, რომელთა აღსრულებაც ყოვლად სამღვდელომ იკისრა (მონასტრების განახლება, გალობის ზეპდვა და წიგნების გამოცემა.) და ასრულებს კიდეც; მაგრამ ერთს კაცს იმდენი არ შეუძლიან, რაც მთელს საზოგადოებას.

და აი ეხლა, როცა ქართველი საზოგადოება ემზადება ყოვლად სამღვდელოს იუბილეის სადღესასწაულოთ, კარგი იქნება, რომ ჩვენში დაარსდეს „ძმობა“ მხცოვანის იუბილიარის სახელზე, მისისავე თანხმობით, დახმარებით და უმაღლესი მფარველობით, რომელსაც მიზნათ უნდა ჰქონდეს ყოვლად სამღვდელოს მიერ დაწყობილი საქმის გაგრძელება, ე. ი. ქართულ საეკლესიო ლიტერატურულ თხუზულებათა გამოცემა. ამ „ძმობას“ უნდა ერქვას: „ქართული საეკლესიო თხუზულებათა გამომცემელი ძმობა“; მონაწილეობას ამ ძმობაში უნდა იღებდნენ ჩვენნი განათლებულნი პირნი აკადემიის და უნივერსიტეტის სწავლით აღჭურვილნი, რომლებმაც უნდა ამოარჩიონ გამოსაცემი წიგნები; ამ „ძმობის“ მიერ გამოცემულს წიგნებს უნდა ეწეროს: „ქართველ საეკლესიო მწერალთა ბიბლიოთეკა;“ ამ „ძმობამ“ რომ წელიწადში ორი სამი წიგნი გამოსცეს, დიდი და კარგი სამსახური იქნება.

იმედია, ქართველი საზოგადოება ამ აზრს განახორციელებს, რადგანაც ეს ჯერ პატივცემული იუბილიარის მიერ დაწყობილი საქმის გაგრძელებაა და მერე ჩვენი ლიტერატურის შევსება და შემატება; გარდა ამისა ეს „ძმობა“ გააქარწყლებს ზოგიერთთა აზრებს, რომლებიც ბრძანებენ, ქართველებს არა გაქვთ-რაო ჭაგვაცდენს შთამომავლობის სასტიკს, მაგრამ სამართლიან, საყვედურს.

მ. ო.

მომავალი „ძმობა სასულიერო განათლებისა“.

მისმა მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობამ, მაღალ-ყოვლად-სამღვდელო ვლადიმერმა, საქართველოს ექსარხოსმა, დღიდგან თვისის მობრძანებისა საქართველოში, დიდი ყურადღება მიაქცია ტფილისის ზოგიერთს ადგილებს, რომლების მცხოვრებნი არა-სასურველს სარწმუნოება-ზნეობრივს მდგომარეობაში არიან. მათმა მეუფებამ ექსარხოსმა მოისურვა აღემაღლებია სარწმუნოება-ზნეობრივის მხრით ეს მცხოვრებლები. ტფილისში აღმოჩნდნენ ისეთი პირები, რომელნიც თანაგრძნობით მიეგებნენ წმიდა და კეთილს განზრახულებას მაღალ-ყოვლად-სამღვდელო ექსარხოსისას. ამ პირთ, წარსულის წლის შემოდგომას შეადგინეს მცირე საზოგადოება, წრე და გაიჩინეს განზრახულის მოღვაწეობის წეს-დებულებაც. ეს წეს-დებულება წარუდგინეს მაღალ-ყოვლად-სამღვდელო ექსარხოსს, რომელმაც მოიწონა იგი, ზოგიერთის ცვლილებით და აქვს განზრახვა დაამტკიცოს იმ დღისთვის, ოდეს ოფიციალურად გახსნილ იქმნება „სასულიერო განათლების ძმობა“. ამ „ძმობის“ გახსნა მოხდება ან მაისს და ან სექტემბრის თვეებში ამა წლისა. ძმობის მიზანი, როგორც სჩანს მისის წესდებულებიდგან, არის გავრცელება და განმტკიცება ადგილობრივს საზოგადოებაში მართლმადიდებლობითის სარწმუნოებისა და ქრისტიანობრივის ზნეობრივ ჭეშმარიტ-მცნებათა (§ 1). საშუალებანი მისაღწევად ამ მიზნისა არიან. ა) ღვთის მსახურების გარეშე საუბარნი და საეკლესიო მოძღვრებანი; ბ) შინაური საუბარნი და კითხვა; გ) გავრცელება დაბეჭდილის სარწმუნოება-ზნეობრივის შინაარსის წიგნებისა და ბროშიურებისა ხალხში; დ) სამლოცველო სახლთან სახალხო უფასო წიგნთ-საცავის და წიგნთ-საწყობის დაარსება; ე) დაარსება და შენახვა „ძმობის“ სკოლებისა ქ. ტფილისში. (§ 2). წევრები „ძმობისა“ და კეთილის მყოფელნი მოიხსენებიან წირვაზედ სას. სემინარიის და ვერის წმ. იოანნე ღვთის-მეტყველის ტაძრებში. (§ 7). „ძმობას“ შეადგენენ: ა) მზრუნველები, ბ) საპატიო წევრები; გ) ნამდვილი წევრები და დ) წევრნი—კეთილის მყოფელნი. საპატიო წევრად შეუძლია იყოს იგი, ვინც ერთ დროებითად 50 მანათს შესწირავს „ძმობას“, ნამდვილი წევრი-კი იქმნება ის, ვინც სამს მანათს სწირავს ძმობას ყოველ წლობით. კეთილის მყოფელ წევრად ის ჩაითვლება, ვინც ყოველ წლობით შესწირავს „ძმობას“ არა ნაკლებ ერთის მანათისა. (§§ 9 და 10) ხელმძღვანელად და მფარველად „ძმობისა“ ბრძანდება მაღალ-ყოვლად-სამღვდელო ვლადიმერი, საქართველოს ექსარხოსი. (§ 13). „ძმობის“ საბჭო თორმეტის წევრისაგან შესდგება, რომელთაც საზოგადო კრება ირჩევს სამის წლის ვადით (§ 16). „ძმობას“ ჰყავს საბჭოს თავმჯდომარე, მისი ამხანაგი, საქმის მწარმოებელი და ხაზინადარი. (§ 17). „ძმობის“ წევრთა და ან სხვა პირთა შემწეობით საბჭო ტყობილობს, რომელი პირი და ოჯახი უფრო ღარიბი და გაჭირვებულია ტფილისში და აძლ
მათ შეძლებისდა გვარად შემწ
ბას. აგრეთვე საბჭო ტყობილო
თუ რომელი პირი რა ბიწიერებ
შეპყრობილი; ის სცდილობს,
ძალი და ღონე აქვს,--გაასწორ
გაუმჯობესოს, ხასიათი და ცხოვ
ბა ლოთისა, გარყვნილისა და სხვ
(§ 29). „ძმობას“ აქვს განზრახ
ტფილისში დააარსოს „სახლები შრ
მის-მოყვარეობისა“, რომლებში
იშოვნიან სამუშაოს და შრომის
სსაც აიღებენ ღარიბი და ლატ
პირები. ხშირად უსაქმურობა, ცხ
ვრების სახსრის უქონლობა მიზე
ზნეობითის გახრწნილებისა, გათახ
რებისა. „ძმობა“ ეცდება გაამრ
ლოს „შრომის მოყვარეობის სახლ
ბი“ და მით შეძლებისა და გვარ
მოსპოს მიზეზები სიღარიბისა
ზნეობითის სიწამხდრისა. „ძმ
ბას“ მიზნად აქვს გახსნას სკ
ლა მართლ-მადიდებლობითის მხ
ტვრობის შესასწავლად. ამ სკოლ
შეგირდები ფრიად სასარგებლო
იქმნებიან ეკკლესიების დახატვის
ქმეში. ხატების შუაგულ რუსეთიდ
გამოწერა დღეს ძვირი ჯდება; ადგ
ლობრივ მომზადებული ხატები უ
რო ნაკლებ ფასად ეღირება. „ძმობა
დააარსებს სახელოსნოს მოსამზად
ლად საეკკლესიო შესამოსლისა
ნივთებისა, რაიც ცოტად თუ ბევ
რად გააიაფებს ამ შესამოსელს
ნივთებს და გააადვილებს მათს შეძ
ნას. ძმობამ უპირველესი თვისი ყ
რადღება მიაქცია ესრედ წოდებულ
„колючая балка“-ს, (ქართულ
„ეკლიანი ხევი“). იმ კუნჭულს ტფ
ლისისას, რომელიც სცურავს ზნე

ეროვნული ბიბლიოთეკა

⁂ სოფ. ნიგოითი (გურია). **განათლების მტრები.** გავმართეთ სამკითხველო და ხალხი ცოტათი შევაჩვიეთ კითხვას. გვიხაროდა, ვფიქრობდით: პატარა, მაგრამ სასარგებლო საქმე გავარიგეთ და ყველა მადლობელი იქნება-თქო. მაგრამ მოვსტყუვდით. ახლად ამორჩეული ჩვენი მამასახლისი, შეუგნებელი და უწიგნო კაცი, დიდი მტერი აღმოჩნდა კითხვისაც და სამკითხველოსიც. ხალხს უქადაგებს: ნუ დასდიხართ სამკითხველოში, ის ჰრყვნის კაცსაო, რა ჩვენი საქმეა გაზეთის კითხვაო. ვინც არ მოიშლის მაგ უსაქმურობას,—მაზრის უფროსიდამ ნათქვამი მაქვს,—გადავასახლებთ აქედამაო. მოდით და ელაპარაკეთ ამ ჰკუის კოლოფს!

⁂ სოფ. ონოღია (სენ. მაზ.). **ღრმად მოხუცებული.** წარსულ თვეს დაასაფლავეს აზნ. ბესო გაბუნია, რომლის ცხოვრება ისტორიულია. ეს კაცი, როგორც თვითონ ამბობდა, დაბადებულა 1781 წელს, ასე რომ უცხოვრია ას-თექვსმეტი წელიწადი; ამდენი ხნის კაცი თავის დღეში ავად არ გამხდარა და მიცვალების დღემდის არ დაჰკარგვია არც მხედველობა და არც ყურთა სმენა. ამისთანა ღრმად მოხუცებული ადამიანი ცხენზედ თამამად ჯდებოდა და დადიოდა. მიცვალების წინა დღეს სოფელ მაიდანში (ქუთაისის მაზრ.) გამმიჯვნელთან ცხენით წასულა მარტო, მობრუნებულა და იმ ღამეს ჩვეულებრივად ტკბილად სძინებია; მეორე დილას წამომდგარა, ტანთ ჩაუცვამს და ჩაის დალევის დროს სკამზე მიწოლილა და უეცრად სული განუტევა, ასე რომ იქვე ორმოცი საჟენის სიახლოვეს მყოფმა მღვდელმა ცოცხალს ვერ მოუსწრო. დარჩა ღრმად მოხუცებულივე ცოლი და ორი ვაჟიშვილი.

საოჯახო ჰიგიენა.

სიმშილი და გაძღომა. საჭიროება ზომიერად საჭმლის მიღებისა. საჭმლის ცვლილება სტომაქში, საჭიროება საჭმლის კარგად დაღეჭვისა, საჭმლის რაოდენობა. ნაკლებად საზრდოობის ცუდი შედეგი.

როდის და რამდენი უნდა ვსჭამოთ საჭმელი, ამაზედ პასუხს ჩვენი სტომაქი გვაძლევს. ბუნებამ დარაჯებად მოგვცა ჩვენ: გრძნობა სიმშილისა, წყურვილისა და მაძღრობისა.

სიმშილს ჩვენი კუჭი გვატყობინებს, ამ დროს კუჭი ხან ვიწროვდება, ხან განივრდება და აი მაშინ ვამბობთ ხოლმე ჩვენც „მუცელი ჩამომაყარეს მეძახისო". თუ კუჭს დროზედ არ მივაწოდეთ საჭმელი, იგი მართლა ტკივილს დაგვიწყებს და ამიტომ ტყუილად კი არ ამბობენ ხალხში „მუცელი მეწვისო". საჭიროა საჭმელი მაშინ მივიღოთ, როცა სიმშილს ვიგრძნობთ, სიმშილი საუკეთესო მაჩვენებელია ჭამა-სმისა.

აუცილებლად საჭიროა აგრეთვე, განსაზღვრული დრო და საათი გქონდეს დადებული ჭამისათვის, რადგანაც ჭამა ნამდვილი და საუკეთესო საშუალებაა ჩვენის ძალ-ღონის შენახვისა და აქედგან, რასაკვირველია, ჯანმრთელობისაც. ამისათვის სულ-ერთია შუადღისას ვისადილებთ ხოლმე, როგორც ჩვენში იციან, თუ ორს-სამს საათზედ, როგორც რუსეთში და სხვაგან. მეტად მავნებელია დღეს ერთს დროს ჭამა, ხვალ კიდევ სხვა დროს ვისადილოთ. უსწორმასწორო კვებას ერთი ცუდი შედეგიც მოსდევს: ფაც-ფუცით ჭამა, რითაც ადვილად შეიძლება დავარღვიოთ წესიერი საზრდოება. ჩვენი კუჭი მეტად ჩქარა მოიშლება, თუ წესიერად არ ვასაზრდოვეთ; კუჭი თხოულობს, რომ სწორედ იმდენი და იგეთი საჭმელი მივაწოდოთ რამდენის მონელებაც შეუძლიან. როცა ჩვენ აჩქარებითა ვსჭამთ, ამ ორთავე, კუჭის მოთხოვნილებას ვარღვევთ. კუჭმა საჭმელი მოსანელებლად მომზადებული უნდა მიიღოს, კარგად უნდა იყვეს გაღეჭილ-დაწვრილებული რასაც კბილები ასრულებენ. ამიტომ კბილების მოვლა და კარგად შენახვა მარტო შეხედულობისთვის-კი არის კარი, არამედ ჯანმრთელობისთვისაც. არა ერთი და ორი კუჭის ავადმყოფობისაგან მოურჩენიათ და სრულიად გაუნთავისუფლებიათ ავადმყოფობისაგან ძველი გაფუჭებული კბილების ამოღებით და მათს მაგიერად კარგად გაკეთებული კბილების ჩასმით. ამისთვის კარგია პატარაობიდგანვე მივაჩვიოთ ბავშვები კბილების მოვლას და მათს სუფთად შენახვას. ამიტომ ძლიერ საჭიროა მუდამ სუფთა წყალით და ჩოთქით ვწმინდოთ კბილები. უნდა ვერიდოთ სხვა-და-სხვა კბილების საწმენდ ნაფხვენებს, რადგანაც იმათ უფრო ვნება მოაქვთ, ვიდრე სარგებლობა, უმთავრესად-კი მათ უნდა ვერიდოთ, რომლებზედაც ამბობენ, რომ სითეთრესა და სიბრჭყვინვალეს აძლევს კბილებსაო.

საჭმელი პირში ნერწყვს ერევა, ადვილად მიცურავს და კუჭისათვისაც ადვილად მოსანელებელი ჰხდება. ამ გვარად მომზადებული საჭმელი კუჭში ჩასვლის შემდეგ ერთგვარ ფაფასავით გაკეთდ-გათხელდება. სანამ საჭმელი კუჭშია, იმას კუჭი ერთის ადგილიდგან მეორეზედ გადისვრის და შემდეგ გაჰდევნის წელებში. ამიტომ თუ ფაცა-ფუცით ვსჭამთ, კუჭს ერთბაშად დიდს და საძნელო სამუშავოს ვაძლევთ, რის გამოც იგი ვერ ასწრებს ჯეროვნად მონელება-მოხარშვას და ძალა უნებურად კუჭიც იშლება. ამიტომ ჰიგიენა თხოულობს, რომ საჭმელი კარგად დავღეჭოთ კბილებით და ნელ-ნელა აუჩქარებლივ ვყლაპოთ ხოლმე.

ახლა ვიკითხოთ, რამდენი უნდა ვჭამოთ საჭმელი? იმდენი, რამდენიც გაგვაძღობს. მაგრამ აქაც ხშირად შეიძლება მოვტყუვდეთ. ხშირად კაცი გარეგნობით არის მაძღარი, მუცელი თუმცა გაებერება და ჭამა აღარ უნდა ადამიანს, მაგრამ ეს საჭმლის სინოყივრიდგან კი არა ხდება, არამედ მიღებული საჭმლის რაოდენობისაგან. ხშირად ჰხდება, უმეტესად მდაბიო ხალხში, ძალიან ბევრს საჭმელსა სჭამენ, ისეთს საჭმელს, რომელიც საკმარისი მასაზრდოებელი არ არის, მაგალითად, კართოფილს, და გამაძღრათა გრძნობენ თავსა.

აშკარაა, რომ არ შეიძლება განსაზღვრით ვუჩვენოთ თუ რამდენი საჭმელი ეჭირვება დღეში კაცსა. მისი რაოდენობა დამოკიდებულია ბევრს სხვა-და-სხვა მიზეზებსა და გარემოებაზედ. ლაპარაკი არ უნდა, რომ ბავშვს, რომლის ტანიც ზრდაშია, დიდთან შედარებით, ბევრი საჭმელი ესაჭიროება. მუშა-კაცმა, რომელსაც ძალა ბევრად ეხარჯება, ბევრი საჭმელი უნდა სჭამოს, სხვასთან შედარებით. ამასთანავე გონებით მომუშავენიც იმდენსავე და უფრო მეტსაც, ვინემ ფიზიკურად მომუშავენი. სწორედ ამის გამოა, რომ სპენსერი შეგირდთა ეგზამენებს, როდესაც დიდი გონებითი შრომა სჭირდება კაცს, ჭირსა და გონების ინთებას უწოდებს.

საჭმლის რაოდენობა დამოკიდებულია აგრეთვე დაჩვევაზედ და ჰავაზედაც. ბევრია ისეთიც, რომელიც ბევრსა სჭამს მარტო დაჩვევისა გამო; აგრეთვე სიცივეში ან ცივს ჰავაში მცხოვრებთ ბევრი საჭმელი სჭირდებათ. რადგანაც სიცივეში მყოფ კაცს ბევრი სითბო ეკარგება, საჭმელი-კი სითბოს გვიძლიერებს, და ამიტომ სიცივეში უფრო ბევრს საჭმელსა ვსაჭიროებთ ხოლმე. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ზამთრობით ბევრს საჭმელსა ვჭამთ.

რამდენს საჭმელს საჭიროებს კაცი დღეში? ამ კითხვის გადაჭრას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც კერძო კაცთათვის, უმეტესად საზოგადოებისა და სახელმწიფოებისათვის. მცხოვრებთა რიცხვის გამრავლება, მათი ძალა და ქონება და ზოგჯერ მათი არსებობაც-კი ბევრით არის ამაზედ დამოკიდებული. ბევრი ხნის შემდეგ მეცნიერებამ გამოიკვლია, რომ კაცს მუშაობის დროს ეჭირვება: $1^{1}/_{2}$ გირვანქა ხორცი; 15 მისხალი სისუქნე; $^{3}/_{4}$ გირვანქა პური და $^{1}/_{4}$ გირვანქა მწვანილი და ბრინჯი. აქედგანა დაინახავთ, თუ რამდენი ხალხნი სრულიადაც ვერ აკმაყოფილებენ ამ კანონიერ მოთხოვნილებას.

თუ რანაირი ცუდი შედეგი მოსდევს ცუდათ საზრდოობას, ამას შემ-

ბითის გახრწნილების მორევში. ამ ადგილს ძმობამ დააარსა სამლოცველო სახლი. უმეტესი ნაწილი აქაურის მცხოვრებლებისა მუშა ხალხია და, მოკლებული გონიერს გასართობებს, ის დროს ატარებს ლუდხანებში და საარაყო დუქნებში. აქ რვაზედ მეტი ლუდხანა და საარაყო დუქნებია, რომლებიც სავსე არიან საეჭვო ყოფა-ქცევის ქალებითა და კაცებით. აქ ძლიერ უძნელდებათ ცხოვრება სახლის-პატრონებს, რომელთაც თვისი უკანასკნელი გროში დაუხარჯავთ სახლების ასაშენებლად. ამ სახლებ არასოდეს არ დაიქირავებს სინიდის მქონე კაცი, და მით უმეტეს ოჯახის პატრონი. საქალაქო ხარჯს კი აქაური სახლის პატრონები ყოველ წლობით იხდიან. მოზრდილს გასათხოვარ ქალებს არ შეუძლიან გაიარონ აქ ქუჩებზედ,—თუ გარედ გამოვლენ, უეჭველად უსირცხვილო პირებისგან რაიმე შეურაცხყოფას მიიღებენ. აქაურს ლუდხანებს და საარაყო დუქნებს გამუდმებული ვაჭრობა აქვთ დღისით და ღამითაც. მცხოვრებთა ახალთაობა თვისის ზნეობითის განვითარების ძლიერ ცუდს პირობებშია. ამ სამწუხარო გარემოებას ყურადღება მიაქცია ვერის წმ. იოანნე ღვთის-მეტყველის ეკკლესიის მღვდელმა მამა ნ. პოკროვსკიმ და თვისი აზრი ბეჭდვითის სიტყვით გამოსთქვა („ТИФЛИС. ЛИСТОКЪ" №№ 131 და 184—1896 წ.) მაგრამ ამ კუნძულს ყურადღება არ მიექცა. მოძღვარმა დაიწყო ქადაგება, ურჩევდა მრევლს შეებრალებია ახალთაობა მაინც და სცდილიყო „ხევი" გაეუმჯობესებინა როგორც ჰიგიენურის, აგრეთვე ზნეობითის მხრით. როგორც ნათქვამია, მამა პოკროვსკის მაღალ ყოვლად სამღვდელო ექსარხოსისადმი მირთმეულ რაპორტში (7 ენკენისთვ. 1896 წლ. მე-333 ნომრით) საქალაქო საბჭოს არ შეუწყნარებია თხოვნა „ხეველებისა» იმის შესახებ, რომ შემცირებულიყო აქ ლუდხანების და საარაყო დუქნების რიცხვი და განდევნილიყვნენ იქიდამ როსკიპი დედაკაცები, რომელთ რიცხვი აქ აუარებელია. ამ საჭირ-ბოროტო კითხვებს საქალაქო საბჭომ ყურადღება არ მიაქცია, და მხოლოდ გადასწყვიტა რამდენიმე „ლიფლიფა" მოემატებია აქაურს ქუჩებზედ და გაესუფთავებია ეს ქუჩები. გასუფთავება ჯერ არსად სჩანს; „ლიფლიფანი"-კი, ამბობს მამა პოკროვსკი—უფრო უხვად ჰფენენ სინათლეს და მით უმეტესად ადვილ საქმედ ხდიან ზნეობითის სიწამხდრის ჩადენას. ვინაიდგან საქალაქო საბჭომ არა იზრუნა-რა „ხევისთვის", მღვდელმა პოკროვსკიმ მაღალ ყოვლად სამღვდელო ექსარხოსს რაპორტი მიართვა და სთხოვა ნებართვა სამლოცველო სახლის გახსნის თაობაზედ „ხევში". მაღალ ყოვლად სამღვდელო ექსარხოსს ფრიად მოეწონა მამა პოკროვსკის აზრი და მისს რაპორტს შემდეგი განაჩენი დააწერა: „1896 წ. 15 ენკენისთვ. უფალმან აკურთხოს კეთილი საქმე". 10 ქრისტეშობისთვეს იმავე წლისა გახსნილ იქმნა სამლოცველო სახლი „ეკლიანს ხევში" (колючая балка). ადგილობითნი მკვიდრნი დიდის თანაგრძნობით მიეგებნენ ამ სახლის დაარსებას, რომელიც უსასყიდლოდ დაუთმო ,,ძმობას'' ქალბ. ზომბერგმა. ბევრი მოყვარული და თანამგრძნობი სასულიერო განათლებისა გახდა ,,ძმობის'' წევრად. სამლოცველო სახლში სრულდების ლოცვა, მღვდელ-მოქმედებანი და მოძღვრებანი კვირა-უქმე დღეებში. სამლოცველო სახლში ბევრი ხალხი დაიარება. ისაა უფრო სასიამოვნო, რომ ამ სახლში დაიარება მრავალი ბავშვი, რომელნიც მხურვალე მონაწილეობას იღებენ კითხვა-გალობაში, თბილისის სას. სემ. კურს დამთავრებულის ა. სახოკიას და ამავე სემინარიის მოსწავლის გიორგი ჩახნაევის ხელ-მძღვანელობის ქვეშ. დაუვიწყარს და სამახსოვრო დღედ ამ სამლოცველო სახლის ისტორიაში ჩაითვლება ის დღე, ოდეს ამ სახლში მობრძანდა მაღალ ყოვლად სამღვდელო ვლადიმერი, საქართველოს ექსარხოსი, (23 მარტი). ამ დღეს სამლოცველო სახლში აუარებელი ხალხი შეგროვდა: დიდი, პატარა, ქალი და კაცი. მაღალ ყოვლად სამღვდელო ვლადიმერზედ ამ სასიამოვნო გარემოებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; მათმა მეუფებამ უთხრა შეკრებილს ხალხს შემდეგი სამახსოვრო სიტყვები: „ურვამ და ოხვრამ თქვენის გულებისამ მოაღწიეს მწყემსის გულამდის და ეს გული ფრიად აღენთო; ამიტომ მე არსად არ მილოცვია ისეთის ლმობიერებით და გამხნევებით, როგორც ამ სამლოცველო სახში ვილოცე". ხალხმა მათს მეუფებას გამოუცხადა თვისი სურვილი—აღაშენოს საკუთარი ტაძარი „ეკლიანს ხევში"; ასეთი სურვილი ხალხისა მათს მეუფებას ფრიად ესიამოვნა და თვისი მწყემსთ-მთავრული ლოცვა-კურთხევა გადასცა ხალხსა. ქალბ. ზომბერგი ადგილს სწირავს ტაძრისთვის. „ძმობას" განძრახვა აქვს დააარსოს ,,სამლოცველო სახლები'' თბილისის სხვა-და-სხვა ადგილებში, სადაც კი მათი დაარსება საჭირო იქმნება სარწმუნოება-ზნეობრივის მიზნების მისაღწევად, მაგალითად: ხარფუხში, ავლაბარში, ნაძალადევში და სხვ..... თითოეულს სამლოცველო სახლთან უსათუოდ დაარსებულ იქმნება საეკკლესიო სამრევლო სკოლაც. მოკლე დროში საეკკლესიო-სამრევლო სკოლები გახსნილ იქმნებიან ხარფუხში და „ეკლიანს ხევში"; უკანასკნელ ადგილს — საქალებო სკოლა. „ძმობას" განზრახვა აქვს დააარსოს ისეთი სამლოცველო სახლები, რომლებშიაც ღვთის მსახურება და ქადაგება შესრულებულ იქმნება ქართულს ენაზედ. ,,ძმობას» განზრახვა აქვს ბეჭდოს რუსულს და ქართულს ენებზედ სარწმუნოება-ზნეობრივის შინაარსის წიგნები და ბროშიურები და იხმაროს ყოველნი ღონის ძიებანი მართლ მადიდებელთ მკვიდრთ შორის მათის გავრცელებისთვის. აი მიზნები და განზრახვანი მომავალის „ძმობისა", რომელიც უნდა დამტკიცდეს მოკლე დროში ქ. ტფილისში. სასულიერო განათლების „ძმობას» მტკიცე იმედი აქვს, რომ, ვისთვისაც ძვირფასია არსებითი „ინტერესები" მართლ-მადიდებლობისა და ადგილობითის მართლ-მადიდებელის მცხოვრებლებისა, აღმოაჩენს მას შეძლებისა დაგვარად, ზნეობითს და ნივთიერს დახმარებას. ყოველივე ზემორე თქმული წინ-დაწინ დასახული იდეალია ძმობისა, რომელსაც შეუძლიან თვისი წმიდა მიზნები და განზრახვანი ვრცლად შეასრულოს მხოლოდ იმ პირობის მიხედვით, უკე თუ ადგილობითი საზოგადოება და ამის ინტელიგენცია თანაგრძნობით მიეგებებიან მას (ძმობის განზრახვათა და მიზნებსა. ეს განზრახვანი, როგორც ზემორე-თქმულიდამაც სჩანს, შეეხებიან არა მარტო სარწმუნოება-ზნეობრივს მხარეს ადგილობით მკვიდრთა ცხოვრებისას, არამედ ამ ცხოვრების სხვა მხარეებსაც: საოჯახოს, საზოგადოებურს და ნივთიერსა. გარდა ამისა, ამ ძმობას ჰყავს სახეში მართლ-მადიდებელი ქართველებიც. იმედია, რომ ქართველის საზოგადოების ის წევრნი, რომელნიც მოყვარულნი და თანამგრძნობნი არიან სასულიერო განათლებისა, არ დაიშურებენ თავისს წვლილს და „მომავალის ძმობის" წევრებად ჩაეწერებიან. ყოველივე წვლილი დიდის მადლობით იქნება მიღებული, და წმიდა ეკკლესიაც წირვა-ლოცვაზედ თვისის მწყემსების პირით მოიხსენიებს „ძმობის" წევრთა და კეთილის-მყოფელთა. უნდა გვახსოვდეს მუდამ, რომ უკეთუ სარწმუნოება და ზნეობა დასუსტდება და დაეცემა, დასუსტება და დაეცემა თვით საზოგადოებური ცხოვრებაც. ერი სარწმუნოება-ზნეობურს განათლებას მოკლებული, პირუტყვთა გროვასა ჰგავს და თვით ფსალმუნთა მგალობელი წმ. დავითი სწორედ ასეთს ხალხზედ იტყვის: „ჰბაძვიდა იგი პირუტყვთა უგნურთა და ემსგავსა მათ".

ძმობის წევრი ილ. ფერაძე.

შილიანი წლებიც გვიჩვენებენ, როდესაც საოცრად მრავლდება საოფლე და სხვა გადამდები სენი*). მაგრამ ეს კიდევ უმთავრესი უბედურება არ არის, რომელიც ცუდად გამოკვებას მისდევს. ნაკლებად და უხეიროდ საზრდოობა ასუსტებს კაცს, შრომა-მუშაობისადმი სურვილს უკარგავს, უბრალო ავადმყოფობის ატანაც-კი აღარ შეუძლიან და ჯანგამოლეულნი სანთელსავით დნებიან. ამიტომ კარგად და მაძღრისად საზრდოობა ერისა სახელმწიფოსა და საზოგადოების უდიდეს მოვალეობას უნდა შეადგენდეს.

იქ, სადაც ღარიბ-ღატაკ ხალხს შეძლება ხელს არ უწყობს კარგად საზრდოობისათვის, მოწინავე კაცები უნდ ცდილობდნენ, რომ, რაც შეიძლება, იაფად და კარგი და მაწიერი საჭმელი მიაწოდონ ხალხს.

აქვე საჭიროდ ვრაცხთ შემდეგ საგანსაც შევეხოთ. საჭიროა სადილს უკან ძილი? ამ კითხვაზედ „ჰო“ უნდა ვსთქვათ, რომ ჭამის შემდეგ მოსვენებას მივეცეთ, რომ კუჭმა კარგად მოინელოს საჭმელი. ყველა ჩვენს ორგანოს შრომის დროს სისხლი ეჭირვება დე თუ ჩვენ მოძრაობით ან გონებითი მუშაობით ამ სისხლს კუჭიდგან სხვა ორგანოებში ვამოძრავებთ, მაშინ კუჭს საჭირო ძალა დაეკარგება და კარგად ველარ იმუშავებს. ამისათვის ყოველთვის საჭიროა სადილის შემდეგ მოსვენება.

შ. ფრონელი.

სამეცნიერო ცნობა

ჭიანჭველების მკვდრის დამარხვა. გეტტონი ერთს საინტერესო ამბავს მოგვითხრობს, რომელიც მას შეუმჩნევია ჭიანჭველების ცხოვრებაში. ეს ამბავი ჭიანჭველების მკვდრის დამარხვას შეეხება. გეტტონმა რამდენიმე ჭიანჭველა მოკლა და ნახევარ საათის შემდეგ დაბრუნდა იმ ალაგს, სადაც მოკლული ჭიანჭველები ეყარნენ. აი იმის სიტყვები: „მე დავინახე მოკლულ ჭიანჭველების გარშემო მთელი ბრბო ჭიანველებისა და გადავწყვიტე თვალყური დამეჭირა და შემეტყო, რას უზამდნენ ჭიანჭველები თავის მკვდრებს. მე დავინახე ხუთი თუ ექვსი ჭიანჭველა, რომლებიც გამოერჩნენ სხვა ჭიანჭველების ხროვიდგან და გასწიეს ახლო მდებარე ბინისკენ სადაც იმათი ბუდე იყო. ისინი შევიდნენ ბუდეში და რამდენისამე წუთის შემდეგ გამოიყვანეს მრავალი სხვა ჭიანჭველა. შემდეგ ყველანი დამწკრივდნენ—ორ-ორი ერთად და წყნარი სიარულით გასწიეს დახოცილ ჭიანჭველებისკენ. როდესაც ალაგს მივიდნენ, ორმა მათგანმა აიღო სხეული მოკლულ ჭიანჭველისა, შემდეგ სხვებმა აიღეს მეორე სხეული და ესრე ვიდრე ყველა სხეულები არ აიღეს ორ-ორმა. მაშინ პროცესია დაიძრა შემდეგის რიგით: წინ მიდიოდა ორი ჭიანჭველა მკვდარ ჭიანჭველათი მათუკან მისდევდნენ ორნი ცარიელები; შემდეგ ორი ჭიანჭველა მკვდრით და ესრე ჯაჭვივით გაგრძელდნენ ორმოცი წყვილი; მათ უკან მისდევდა ორასამდინ სხვა ჭიანჭველა; პროცესია ძრიელ ნელ-ნელა მიდიოდა. დროთი დრო წყვილი, ტვირთი ჩერდებოდა და სდებდა მას მიწაზედ; მაშინ მას იღებდა მეორე წყვილი, რომელიც მათ უკან მისდევდა უტვირთოთ, ამ ნაირად ჭიანჭველები მივიდნენ ქვიშიან ადგილს ზღვის ნაპირას. იქ ჭიანჭველების ბრბომ, რომელიც უკან მისდევდა, ამოსთხარა პირით რამდენიმე ორმო; თვითეულ ორმოში თითო მკვდარი დამარხეს და შემდეგ მიწა მიაყარეს. ამითი არ გათავდა ჭიანჭელების მკვდრის დამარხვა. ექვსი თუ შვიდი ჭიანჭველა გაიქცა და არ უშველა მათ საფლავების გათხრა; ესენი დაიჭირეს და უკან მოიყვანეს; ბრბო დაეცა მათ და იქვე დახოცა ყველანი. ამის შემდეგ ამოთხარეს ერთი საერთო ორმო, რომელშიაც დამნაშავენი ჩაჰყარეს“. აგრეთვე პატივსაცემელი ფარენ უატი თავის წერილში ჭიანჭველებზე შემდეგს საინტერესო ამბავს მოგვითხრობს: „ერთს ჩემს საჭიანჭველოთაგანში, მიწის ქვეშ ვიპოვე სასაფლაო; მე ვნახე ჭიანჭველები, როგორ ასაფლავებდნენ მასჰი მკვდრებს და მიწას აყრიდნენ. ერთი ჭიანჭველა, შეიძლება ძრიელ მწუხარე, ცდილობდა ლეშის ამოღებას, მაგრამ შეერთებულმა მესაფლავე ჭიანჭველების ძალამ, შეაჩერა იგი.“

გაბო.

*) ამასვე უნდა მიეწეროს ეხლა ჩინეთში გაჩენილი შავი ჭირი.

წვრილი ამბავი

დედოფალ ვიქტორიას 60 წლის იუბილეი. ინგლისში დიდის ამბით ემზადებიან დედოფალ ვიქტორიას 60 წლის ტახტზედ აბრძანების დღესასწაული გადაიხადონ. ეს დღესასწაული მოხდება ლონდონში 22 თიბათვეს და უკვე ახლა ადგილები სულ დაუკვეთნიათ ლონდონის სასტუმროებში. თითო სარკმელი სახლისა იმ ქუჩაზედ, რომელზედაც დედოფალი გამოივლის წმ. პავლეს ტაძარში წასაბრძანებლად, იყიდება ისე ძვირად, რომ ამ ფულით სხვაგან მთელს სახლს იყიდდა კაცი. ერთს კლუბს, რომლის შენობა ზედ დიდ ქუჩაზეა, შეაძლიეს ერთის დღისთვის სახლის ქირა 5,000 გირვანქა სტერლინგი.

მაგრამ კარგი და მისაბაძავი ისა სჭირთ ინგლისელებს, რომ ასეთს შემთხვევაში გროვდება აუარებელი ფული საქველ-მოქმედოდ. მაგალითებრ, დედოფალმა უკვე გამოაცხადა, რომ ყველაზედ ძვირფასი საჩუქარი მისთვის ის იქნება, რომელიც დედოფლის სახელით შეეწირება საქველ-მოქმედო საგანსო.

∴

სპილო პარიზის ქუჩაზე. ერთს დილას პარიზის ერთ უბნის მცხოვრებთ დაინახეს ქუჩაზედ საკვირველის სიმაღლის სპილო, რომელიც ხორთუმს საშინლად იქნევდა, ყველას აშინებდა და ახლო მიკარება არავის შეეძლო. არავინ იცოდა, თუ საიდამ გაჩნდა ეს საკვირველი ცხოველი. ერთს წუთას ეს ხმა მთელს უბანს მოედო და აუარებელი ხალხი მიაწყდა საცქერლად. ახლო ვერავინ ეკარებოდა და ვერც ქუჩიდგან მოეცილებინათ. ბოლოს პოლიციის მოხელეები ამოღებულის ხმლებით შემოერტყნენ, რომ მახლობელს ეზოში შეეგდოთ. მაგრამ დახე მათს გაკვირვებას! სპილო კარდონისა აღმოჩნდა. მოხელეებმა მხრებზედ გაიდეს იგი და პოლიციის ნაწილში წაიღეს. უკან მოდენილი ხალხი-კი სიცილსა და სითხით აყრიდა.

∴

ოქროს მომზადება. რამდენისამე თვის წინად ამერიკიდამ ევროპაში მოიტანეს ამბავი, რომ იქ დაარსდა საზოგადოება, რომლის საქმე იქნება «გარდაქმნას ვერცხლი ოქროდ“. ვერცხლის ოქროდ ქცევაც გაგონილაო, იტყვიან. არც ფონოგრაფი იყო გაგონილი, მაგრამ ამერიკაში მოიგონეს. ვინმე ემმენსი არწმუნებს ქვეყანას, რომ მან აღმოაჩინა საშუალება, რომლის ძალითაც ვერცხლი გარდაიქმნების ოქროდ. ახალი საზოგადოება შეუდგა ამ საქმის რიგიანად მოწყობას და ვნახოთ, რა გამოვა.

∴

ლოთი მდიდარი ქალი. ქალაქს ონგარში (ანგლიაში) ამ მოკლე ხანში გარდაიცვალა მდიდარი ქალი მარგარიტა მედერი ლოთობისაგან.

მარგარიტა ჯერ სულ ოცის წლისა თუ იყო, რომ 35 ჯერ იყო სამართალში მიცემული ლოთობისათვის; ოცდა-ერთის წლისამ რამოდენიმე თვე საავადმყოფოში გაატარა; 24 წლის რომ შეიქმნა, მას გაეცნო ერთი კათოლიკეთა მღვდელი, რომელსაც იმედი ჰქონდა ამ ქალის ასეთის სენისაგან განკურნებისა და ამ აზრით წაიყვანა ის ამერიკაში, მაგრამ იქაც მარგარიტამ გულ-გრილად მიჰყო ხელი სხვა-და-სხვა სასმელებსა და ნიუ-იორკში რამოდენჯერმე დააჯარიმეს და დასაჯეს ლოთობისათვის. დაბრუნდა თუ არა ანგლიაში, მან მიჰყო ხელი ო-დე-კოლონისა და ბანგის სმას; ამას წინად სამჯავროდამ დაბრუნდა, სადაც მე-205 ჯერ ასამართლებდნენ ლოთობისათვის და ოთხის კვირით დაპატიმრება გარდაუწყვიტეს, დაიწყო უზომოდ ლოთობა და ბოლოს დამბლა დაეცა და მოკვდა კიდეც.

მარგარიტა ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო, სულ 27 წლისა. მთელი თავისი სიმდიდრე უანდერძა მან იმ კათოლიკეთა მღვდელს, რომელიც ამაოდ სცდილობდა მისის ზნე-ჩვეულების შეცვლას.

∴

ახირებული შემთხვევა ტელეფონზე. ამ დღეებში ქ. როსტოვში შემდეგი ახირებული შემთხვევა მოხდა: ერთს სოვდაგარს ბ-სკის მისი მეგობარი საიდუმლოდ ატყობინებდა ტელეფონით, რომ ამა-და-ამ ალაგას მოსაგები საქმე შეიძლება ხელში ჩაიგდო და ეცადეო. სოვდაგარმა ტელეფონითვე შეატყობინა ეს ამბავი თავის ვექილს და უბრძანა, დაუყოვნებლივ წასულიყო საქმის მოსაწყობად; ვექილიც, რა თქმა უნდა, გაექანა დანიშნულ ადრესით, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, შეატყობინეს რომ ეგ საქმე სხვამ ჩაიგდო ხელშიო!..თურმე, ნუ იტყვით, ეს ახალი სოვდაგარი, შემთხვევით ტელეფონის აპარატთან ყოფილა, როდესაც ბ.-სკი თავის ვექილს ბრძანებას აძლევდა, გაუგონია ყველაფერი, ადრესი ჩაუწერია, დაუყოვნებლივ წასულა და ერთი საათით უფრო ადრე მას გაუთავებია საქმე.

ბ.-სკის ვექილი წელ-მოწყვეტილი დაბრუნებულა. სახუმროც არ არის,—ახეთმა მოულოდნელმა შემთხვევამ, თურმე, მის მბრძანებელს ათასი მანათი მოგება დაუკარგა.

საღამოს დეპეშა

19 აპრილი

ვარშავა. 19 აპრილს ავსტრიის იმპერატორი ერც-ჰერცოგ ოტტონითურთ და ამალითურთ გაიარა ვარშავზედ და ვენას მიბრძანდება.

ათინა. ახალი სამინისტრო შედგენილია: რალლი—მინისტრთ-პრეზიდენტია და ზღვათა მინისტრი, თეოტოკლისი—შინაგან საქმეთა მინისტრა, ენტოქსიასი საერო განათლებისა, ტრიანთა ფილიკოსი—სასჯულო საქმეთა, სამოპულოსი—ფინანსთა და პოლკოვნიკი გამოდოსი სამხედრო მინისტრად. მინისტრებმა ფიცი უნდა დასდონ.

ლონდონი. „Standara“-ს ათინიდგან დეპეშა მოუვიდა, რომ ოსმალეთის ჯარმა (ანუ მისმა მეწინავე ნაწილმა) იერიში მიიტანა ფარსალასთან საბერძნეთის ჯარზედ.

ბერლინი. „იმპერატრიცა ავგუსტ“-ს გემი კრიტის წყლებიდგან ფოლერს წავიდა.

ვენა. Corr. Bnreau“-ს აუწყებენ პეტერბურგიდგან „გრაფ მურავიოვმა და გლუხოვსკიმ ერთის შინაარსის ნოტები გაუგზავნეს რუსეთის და ავსტრი უნგრეთის წარმომადგენელი ბელგრადსა, სოფიასა, ბუქარესტს და ცეტინიეს. ნოტში ნათქვამია, რომ რუსეთისა და ავსტრიის იმპერატორებს შორის აზრთა გაზიარების დროს ორივე ხელმწიფეთ შემთხვევა მიეცეთ სიამოვნებით აღენიშნათ სამართლიანი მოქმედება სერბიისა, ბოლგარიისა, რუმინიასა და ჩერნოგორიისა ევროპის ოსმალეთისათვის ამ ახლად დამდგარს ხანაში. ისე მოქმედება ამ სახელმწიფოთა მით უფრო შეეხება ორივე ხელმწიფის სურვილს, რომ იმათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი არ შეარყიონ საერთო მშვიდობიანობა და არ შესცვალონ აწინდელი წეს რიგი და „statu guo“.

განცხადებანი

განსაკუთრებულ
საათების
სახელოსნო
ბეგლიარ
ავაკიანცისა
სათავად აზნაურო ქარვასლა.
ვღებულობ ყოველგვარ საათებს შესაკეთებლად. ფასი ყველაფერზე ზომიერია. ყოველ შეკვეთას ვასრულებ წმინდად და სინიდისიერად.
ბეგლარ ავაკიანცი.
იქვე გამართულია
საოქრომჭედლო სახელოსნო
ნიკოლოზ იმედოვისა
სახელოსნო ასრულებს ყოველ გვარ საქმეს ოქრო-მჭედლურ ხელობისას სუფთად, მკვიდრად, შნოიანად, სწრაფად და იაფად!
(30—24)

ამიერ კავკასიის რკინის გზა.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 1 გადის დილის 9 ს. 30 წ. მიდის ბათომში საღ. 9 ს. 45 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 10 ს. 50 წ. მიდის ბაქოში საღ. 4 ს. 49 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 9 ს. 40 წ., მოდის თბილისში საღამოს 9 ს. 55 წ.

ბაქოდგან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დღისით 2 ს. 30 წ. მოდის თბილისში საღამოს 8 ს. 1 წ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № გადის საღამოს 6 ს. 50 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 15 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 11 ს. 5 წ. მოდის თბილისში 5 ს. 50 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის ღამის 11 ს. 20 წ., მოდის თბილისში შუადღის 12 ს. 25 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის ნაშუადღევს 1 ს. 10 წ. მიდის ბაქოში 7 ს. 30 წ. დილით.

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ

საფოსტო—პასაჟირო გემები

ბათომიდან 1) გემი სწრაფის რეისით გადის შაბათობით, შუადღის 12 საათზედ, შეივლის ნოვოროსიისკში, იალტაში და სევასტოპოლში.

ბათომიდან 2) პირველი ირგვლივის გზის გემი გადის შაბათობით, ღამის 2 საათ, შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან 3) მეორე ირგვლივის გზის გემი გადის სამშაბათობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 4) მესამე ირგვლივის გზის გემი—პარასკეობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან პირდაპირი გემი ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზედ; შეივლის ნოვოროსიისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში და სევასტოპოლში.

საბარგო-საპასაჟირო გემები.

ბათომიდან გადიან პარასკეობით, 8 ს. საღამოზე. შეივლიან ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან გადიან ოთხშაბათობით, ღამის 2 საათზედ, შეივლიან ფოთში, ნოვოროსიისკში და სევასტოპოლში.

ბათომში მოდიან გემები

ირგვლივი გზის გემები მოდიან ბათომში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით, საღამოთი.

პირდაპირი გზის გემები მოდიან ბათომში ოთხშაბათობით, დილით.

სწრაფი რეისის გემები მოდიან ბათომში პარასკეობით, ნაშუადღევს.

საბარგო-საპასაჟირო გემები, პირდაპირი, სამშაბათობით, ნაშუალამევს. ჩვეულებრივი—პარასკეობით, შუადღეს.

ვაჭრების საყურადღებოდ.

ტფილისის მაზრის სასამართლოს ნაწილის ბოქაული აცხადებს, რომ ათს აპრილს დაბა სახკოლმუტან-ალიხანში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება მაქარ-ოსიფოვისადმი კუთვნილი 600 ცხვარი, რომელიც დაფასებულია სულ 1200 მანათად.

ყარსის სამხედრო გუბერნატორი აცხადებს, რომ ერევნის გუბერნიის სამმართველოში, ქ. ერევანში, 28 აპრილს, იჯარით გაიცემა ტაუსკერის ნაწილის სამმართველოს და მილიციონერთათვის შენობების აგება სოფ. ოლთიში (ყარსის ოლქი). ეს სამუშაო დაფასებულია 14,326 მან. 18 კაპ. და ამ თანხიდამ დაიწყება ვაჭრობა.

ქუთაისის გუბერნიის სამმართველო აცხადებს, რომ 20 აგვისტოს დანიშნულია საჯაროდ გასყიდვა გასიფ ეფენდი მუხტარბაშვილის უძრავი მამულისა, რომელიც იმყოფება ქ. ბათომში, მეჩეთის მოედანზე და შესდგება სამი ქვის მაღაზიისა, ორ-სართულიანის შენობისა და 100 ოთხ-კუთხედი საჟენის მიწისაგან. მამული დაფასებულია 9000 მანათად.

ქოდალოს სამოსამართლო ნაწილის ბოქაული აცხადებს, რომ ამა წლის 15 მაისს საჯარო ვაჭრობით გაიყიდება სოფ. ვაქირში (სიღნაღის მაზრა) მცხოვრებ გლეხის კონსტანტინე და ივანე გოგოლას ძე წანკაშვილთა უძრავი მამული,—რომელიც დაფასებულია 170 მანათად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19-го Апрѣля 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.